ინფორმაცია თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული უძრავი ქონებების შესახებ

2006 წლიდან დღემდე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საპატრიარქოს ჯამში **7 მიწის ნაკვეთი** გადაეცა საერთო ფართობით **5777 კვ. მ** ქალაქის შემდეგ მონაკვეთებში: კობალაძის (2 მიწის ნაკვეთი), გრიბოედოვის, დ. აღმაშენებლის, სულაბერიძის, ჯავახიშვილის ქუჩები და თამარის დასახლება. თითოეულ შემთხვევაში მიწის გადაცემა საპატრიარქოს მიერ საკულტო ნაგებობის მშენებლობისთვის განხორციელდა.[1]

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადაცემული უძრავი ქონება

1. 2009 წლის 6 აგვისტოს კობალაძის ქ. #15-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრიარქოს გადაეცა 479 კვ. მ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ.
2. 2009 წლის 2 დეკემბერს გრიბოედოვის ქ. #6 და #8-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრიარქოს გადაეცა 1735 კვ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ. მნიშვნელოვანია, რომ საპატრიარქოს მიერ **მოთხოვნილი 400 კვ. მ მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ **გადაცემული იყო 1735 კვ. მ მიწის ნაკვეთი.**
3. 2010 წლის 19 მაისს თამარის დასახლება #14 და #18-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრიარქოს გადაეცა 1467 კვ. მ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ.
4. 2010 წლის 24 აგვისტოს დ. აღმაშენებლის ქ. #11-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრიარქოს გადაეცა 797 კვ. მ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ.
5. 2013 წლის 4 სექტემბერს სულაბერიძის ქ. #49-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრიარქოს გადაეცა 532 კვ. მ მიწის ნაკვეთი უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ.
6. 2013 წლის 4 სექტემბერს ჯავახიშვილის ქ. #6ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრიარქოს გადაეცა 452 კვ. მ. მიწის ნაკვეთი უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 29 წლის ვადით.
7. 2013 წლის 4 სექტემბერს კობალაძის ქ. #11-ის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრიარქოს გადაეცა 315 კვ. მ მიწის ნაკვეთი უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 29 წლის ვადით.. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში მიწის გადაცემა მოხდა საპატრიარქოს კორესპოდენციის საფუძველზე, რომლის თანახმად ისინი ითხოვდნენ უსასყიდლო უზურფრუქტით უკვე გადაცემული 479 კვ. მ მიწის (იხ. პუნქტი #1 და 06.08.2009 წლის უზურფრუქტის ხელშეკრულება) მომიჯნავე ნაკვეთის გადაცემას უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემას ტაძრის სამრეკვლოს მშენებლობისთვის.

2006 წლიდან დღემდე ქობულეთის მუნიციპალიტეტისგან საპატრიარქოს გადაეცა **27 419 კვ. მ. მიწის ნაკვეთი,** ასევე **613,8 კვ. მ შენობა-ნაგებობები,** საერთო ღირებულებით **757 310 ლარი.**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გადაცემული უძრავი ქონება

1. 2008 წლის 11 აპრილს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ საქართველოს საპატრიარქოს 8758 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 91433, 52 ლარი) გადასცა დაბა ჩაქვში თამარ მეფის მიმდებარე ტერიტორიაზე.
2. 2009 წლის 16 ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ საქართველოს საპატრიარქოს 5501 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 34 485 ლარი) გადასცა ს. ხუცუბანში.
3. 2009 წლის 17 ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ საქართველოს საპატრიარქოს 5494 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 114 652 ლარი) გადასცა ს. ხუცუბანში.

---

[1] იხ. დანართი #1 - 1. ბათუმის მერიის მიერ საპატრიარქოსთვის უძრავი ქონების გადაცემების (სარგებლობის უფლებით) შესახებ ინფორმაცია.

4. 2012 წლის 9 ივლისს ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ საქართველოს საპატრიარქოს 800 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 5508 ლარი) გადასცა სოფელ ლეღვაში.
5. 2012 წლის 12 ივლისს ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ საქართველოს საპატრიარქოს 1591 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 16 610 ლარი) გადასცა სოფელ ლეღვაში.
6. 2012 წლის 12 ივლისს ივლისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ საქართველოს საპატრიარქოს 3491 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 36 446 ლარი) გადასცა დაბა ოჩხამურში.
7. 2016 წლის 29 სექტემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზურფრუქტის უფლებით უვადოდ საქართველოს საპატრიარქოს 1784 კვ. მ. მიწის ნაკვეთი (ღირებულებით 18 624 ლარი) და მასზე განთავსებული ნაგებობებით 605,8 კვ. მ და 6,8 კვ.მ (ღირებულებით 439 552 ლარი) გადასცა დაბა ოჩხამურში.[2]

2006 წლიდან დღემდე შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საპატრიარქოს გადაეცა **2315 კვ. მ. მიწის ნაკვეთი,** ასევე **1286 კვ. მ შენობა-ნაგებობები.**

შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული უძრავი ქონება

1. 2014 წლის 18 მარტს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტოიში 1191 კვ. მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 993, 6 კვ. მ შენობა-ნაგებობები საპატრიარქოს გადაეცა უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 წლის ვადით.
2. 2014 წლის 28 მარტს შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევში თამარ მეფის ქ. 30-ში 646 კვ. მ მიწის ნაკვეთი საპატრიარქოს გადაეცა უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 წლის ვადით.
3. 2014 წლის 28 მარტს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლადაურში 478 კვ. მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 293 კვ. მ შენობა-ნაგებობით საპატრიარქოს გადაეცა უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 წლის ვადით.[3]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით საქართველოს საპატრიარქოს 2006 წლიდან დღემდე გადაეცა 35 511 კვ. მ. მიწის ნაკვეთი და მათზე განთავსებული 1899.8 კვ.მ შენობა-ნაგებობები.

---

[2] დანართი #3 - ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის უძრავი ქონებების გადაცემების (სარგებლობის უფლებით) შესახებ ინფორმაცია

[3] დანართი #2 - შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს საპატრიარქოსთვის უძრავი ქონების გადაცემების (სარგებლობის უფლებით) შესახებ ინფორმაცია.